პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 152 (18994) სამშაბათი, 3 ივლისი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

ვამრავლოთ სტახანოველთა ტრადიციები

ვენი ქვეყნის ისტორიის ოცდაათიანი წლები მეძრა დონბასელი მეშახტის ალექსი სტახანოვის საგმირო საქმეებმა. მისმა შრომითმა მიღწევებმა განაცვიფრა საბჭოთის მეგობრებიც და მტრებიც, ყველას დაანახვა, თუ რა შეუძლია ექსპლოატაციისაგან თავისუფალ ადამიანს, ერთხელ კიდევ დაამტკიცა საბჭოთა სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა, ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობა.

სტახანოვურმა მოძრაობამ მოიცვა მთელი ჩვენი დიდი ქვეყანა და ადამიანები მართლაც შრომით სასწაულებს ახდენდნენ ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის განვითარებადი სახალხო მეურნეობის ნებისმიერ დარგში. დიდი სამამულო ომის წინა წლებში ათასობით და ათიათასობით სტახანოველი თავის საკუთარ განუმეორებელ შრომით „მეოცნებეს" ტოვებდა ქვანახშირის შახტებსა თუ მარტენის ღუმელებთან, საკოლმეურნეო მინდვრებსა თუ ტრანსპორტზე...

ცხადია, ამ საყოველთაო-სახალხო მოძრაობაში საქართველოს მშრომელებიც ჩაებნენ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა ათასობით ქართველი სტახანოველის სახელი.

ვაისად, აგვისტოს დამლევს, სტახანოვურ მოძრაობას 50 წელი უსრულდება. ამ ღირსშესანიშნავი თარიღის შესახვედრად საგულდაგულოდ ემზადება დონბასის შახტებში, მოსკოვის, ლენინგრადის, ქვეყნის სხვა ქალაქების, მოკავშირე რესპუბლიკების სამრეწველო საწარმოებში, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ჩაებნენ რა საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში, შრომითმა კოლექტივებმა თავიანთ ვალდებულებებში წინა პლანზე წამოსწიეს შრომის ნაყოფიერების გეგმის გადამეტებით ზრდასთან და პროდუქციის თვითღირებულების დამატებით შემცირებასთან დაკავშირებული დამატებითი პარტიული დავალების ვადამდე შესრულება.

ხშირად ეს მომენტი გახდება წითელ ზოლად საქართველოში სტახანოვური მოძრაობის პიონერების — ჭიათურელი მაღაროელების ვალდებულებებშიც. თავის დროზე აქ სტახანოვურ მოძრაობას პირველნი გამოეხმაურნენ სახელმოხვეჭილი მადნის მომპოვებლები ვ. სანახიძე და ტ. დოუხაძე, რომლებსაც ბევრი მიმდევარი გამოუჩნდათ. ტრადიციები გრძელდება, სამთამადნო კომბინატის საწარმოებში კვლავ ახალი ძალით გაიშალა მოძრაობა საიუბილეო თარიღის ღირსეული შეხვედრისათვის. მაღაროებში, ღია კარიერებში, მამდიდრებელ ფაბრიკებში იმართება კრებები, რომლებზეც ზუსტდება და მტკიცდება გადიდებული ვალდებულებანი. სტალინის სახელობის მაღაროს სამმართველოს გვირაბგამყვანმა დ. მეგრელიშვილმა და მბურღავმა ზ. გამეზარდაშვილმა ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით 25 ტონა მანგანუმის მადნის ამოღება გადაწყვიტეს. მათ თაოსნობას საწარმოს მთელი კოლექტივი გამოეხმაურა, და გადაწყვიტეს: ყველანი ერთად ქვეყნის მეტალურგიულ ქარხნებს წინათ ნაკისრი ვალდებულების გადამეტებით 6500 ტონა მადანს მიაწვდიან. ამას სამთოელები შრომის ნაყოფიერების გეგმის გადამეტებით 1,2 პროცენტით ზრდითა და პროდუქციის თვითღირებულების დამატებით 0,6 პროცენტის შემცირებით მიაღწევენ.

საიუბილეო შეჯიბრება ფართოდ გაიშალა აგრეთვე ლენინის, კალინინის, ორჯონიკიძის, ზურაბ პატარიძის სახელობის მაღაროთსამმართველოებშიც. ახალი გადიდებული ვალდებულებების შესასრულებლად თავიანთ შესაძლებლობებს აზუსტებენ ახლა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციათა მრავალი ბრიგადის, უბნის, საამქროს კოლექტივები. კისრულობენ რა ვალდებულებებს, ისინი, უპირველესად, ხელმძღვანელობენ ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლისა და აპრილის პლენუმებზე წარმოთქმული სიტყვებიდან, ქ. მოსკოვის კუიბიშევის რაიონის ამომრჩეველთა და ქარხანა „ნამგალისა და უროს" მუშა-მოსამსახურეთა წინაშე გამოსვლებიდან გამომდინარე დებულებებითა და დასკვნებით. მთავარ სამოქმედო პროგრამად მათ გაიხადეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის გადაწყვეტილებანი, და ეს გასაგებია: ამ პლენუმმა საქართველოს მშრომელებს დაუსახა მიმდინარე და მომავალი წლების რთულ, მაგრამ საპატიო ამოცანათა გადაწყვეტის კონკრეტული გზები.

სტახანოვური მოძრაობის საიუბილეო თარიღის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს წარმოების მოცულობის ზრდას. როგორც ცნობილია, ხშირად ეს საკითხი გახდება წითელ ზოლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომას, რომელზეც შეაჯამეს მიმდინარე სამეურნეო წლის ხუთი თვის შედეგები და დასახეს ღონისძიებანი ნახევარი წლის გეგმის უთუო შესრულებისათვის. ამაზე იყო ლაპარაკი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების მეორე რესპუბლიკურ კრებაზეც და კრების მონაწილეთა მიერ ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოსადმი

დაიწყო წლის მეორე ნახევარი. მთელი ძალები — წლიური გეგმების შესრულებას!

ხუთწლედი — წელი მეოთხე

ვადამდე

◆ **მეაბრეშუმეთა** და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მოწოდებას „მეაბრეშუმეობა — ჩვენი ზრუნვა" საქმით უპასუხეს ცხაკაიას რაიონის სოფლის მშრომელებმა. მათ უკვე შეასრულეს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის გეგმა-ვალდებულება. რაიონში დამზადებულია 44.231 კილოგრამი პარკი ვალდებულებით გათვალისწინებული 44 ათასი კილოგრამის ნაცვლად.

◆ **ვანის** რაიონმა შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 26.040 კილოგრამი პარკი ნაცვლად 26.000 კილოგრამისა.

რაიონის მეაბრეშუმეები ახლა ნაკისრი სოციალისტური ვალდებულების შესრულებისათვის იბრძვიან.

560.000 ტონა ჩაისათვის!

ვინ დაწინაურდა, ვინ ჩამორჩა

რესპუბლიკის მეჩაიეები დღითი დღე შარშანდელზე მეტ ხარისხოვან ფოთოლს კრეფენ. 2 ივლისისათვის საქართველოს ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ცნობით, დამზადებული ნედლეულის მოცულობა შარშანდელი შესაბამისი პერიოდის დონეს 17.117 ტონით აღემატება.

ჩაის კრეფაში **დაწინაურდნენ** მახარაძის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, ოჩამჩირის, ხელვაჩაურის რაიონების და წყალტუბოს ზონის პლანტაციათა ოსტატები.

ფოთლის დამზადებაში შარშანდელ დონეს **ჩამორჩნენ** ქობულეთის, გალის რაიონების და ჭიათურის ზონის მეჩაიეები.

წლიური გეგმის შესრულებაში საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელზე დაბალი შედეგი აქვთ ქობულეთის, ცხაკაიას, გეგეჭკორის რაიონების მეურნეობებს.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გულმოდგინებით მუშაობენ სოხუმის, გულრიფშის, მახარაძის, სამტრედიის, ზუგდიდის რაიონების მეჩაიეები. მათ მიერ დამზადებულ ნედლეულში პირველი ხარისხის ხვედრითი წილი 76-82 პროცენტია, რაც შესაბამის რესპუბლიკურ მაჩვენებელს 3-9 პროცენტით აღემატება.

ექსპერიმენტი: პროდუქცია ნარჩენებისაგან

— **საქართველოს** ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტს თბილისში აქვს ქიმიურ-თერაპევტული და ბიოლოგიური პრეპარატების ექსპერიმენტული ქარხანა. მისი ძირითადი დანიშნულებაა მეცნიერების წარმოებასთან დაკავშირება, მეცხოველეობისა და მეფრინველეობისათვის ახალი, დიდად ეფექტიანი ქიმიური და ბიოლოგიური პრეპარატების შემუშავება, შესწავლა, დამზადება, ფართო აპრობაცია და საწარმოებში დანერგვა შინაურ ცხოველთა ინფექციური, ინვაზიური და სხვა დაავადებების სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნებისათვის.

ამჟამად აქ ამზადებენ თხუთმეტი სახეობის ახალ ქიმიურ და ბიოლოგიურ პრეპარატებს, რომლებსაც დიდი წარმატებით იყენებენ მეცხოველეობაში ჩვენს რესპუბლიკასა და საერთოდ სსრ კავშირში. ექსპერიმენტული ქარხანა წელიწადში 2 მილიონი მანეთის პროდუქციას უშვებს. აქ დამზადებული პრეპარატების გამოყენებით მეცხოველეობაში 10 მილიონ მანეთს ზოგავენ.

საწარმოს პრეპარატების შეძენის მსურველთა რიცხვი დიდია. სწორედ ამან განსაზღვრა ის, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად გარდაბნის რაიონში, ფონიჭალის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ქიმიურ-ბიოლოგიური პრეპარატების ახალი ქარხნის დაპროექტება, რომლის მშენებლობა მიმდინარე ხუთწლედის დამლევისათვის უნდა დამთავრდეს. ქარხანა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს დაექვემდებარება. აქ გამოშვებული პროდუქცია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას მაქსიმალურად დააკმაყოფილებს.

საწარმო სხვა 10-12 სახეობის პროდუქციასთან ერთად ყოველწლიურად დაამზადებს 50-70 ტონა საკვებ პრეპარატს მეფრინველეობისათვის, ამჟამად კი ექსპერიმენტული ქარხანა ამზადებს 8-10 ტონა პრეპარატს, რაც რესპუბლიკის საქფრინველმრეწვის სისტემის მხოლოდ სანაშენე რეპროდუქტორებს აკმაყოფილებს. ახალი საწარმო დაამზადებს 12-14 მილიონი მანეთის პროდუქციას. მისი გამოყენება სახელმწიფოს 40 მილიონ მანეთს დაუზოგავს.

გარდა ამისა, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს გაჩიანის ხორცისა და ძვლის ფქვილის ქარხნის რეკონსტრუქცია. აქ დამზადდება მეფრინველეობის ნარჩენებიდან მიღებული ცილოვანი დანამატი 30-33 ათასი ტონის ოდენობით. იგი შეცვლის გასასუქებელი ბროილერებისათვის კომბინირებულ საკვებში შესატყვისი ოდენობით სიმინდის მარცვალს და მოგვცემს 10-15 პროცენტით მეტ პროდუქციას.

ექსპერიმენტულ ქარხანაში მიმდინარეობს დიდი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები; ამჟამად მუშავდება სამი გარდამავალი სახელმწიფოებრივი თემა, რომელთა მეცნიერულ შედეგებს, ალბათ, საკავშირო მნიშვნელობა ექნება. უკანასკნელი წლების მანძილზე საწარმოში დამზადებულ პრეპარატებზე მიღებულია ექვსი საავტორო მოწმობა, დანერგილია 12 რაციონალიზატორული წინადადება და სამ ახალ პრეპარატზე მიღებულია გამოგონების პრიორიტეტი.

ქარხნისა და ინსტიტუტის მუშაკებთან ერთად კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ხორციელდება საქართველოს სსრ მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის, მეცნიერებათა აკადემიის ორგანული ქიმიის ამიერკავკასიის მეფრინველეობის ზონალური საცდელი სადგურის, სამედიცინო ინსტიტუტის მეცნიერებთან თანამშრომლობით.

ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა წელს შრომის ნაყოფიერება გეგმის გადამეტებით 2,5 პროცენტით გაადიდოს, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება დამატებით ერთი პროცენტით შეამციროს.

ბ. უროტაძე.

მიმდინარეობს ვენახების მოვლის ორთვიური

ზვრებშია მთელი სოფელი

გურჯაანის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებაში თქვეს, რომ ჰანდოის კოლმეურნეობის ზვრები რაიონში საუკეთესოა. ამაში საკუთარი თვალით დავრწმუნდით. მართლაც გულს იხარებს ჰანდოელთა ვენახების ხილვა. თითოეულ ვაზს ატყვია გამრჯე კაცის ხელი.

მეათე ბრიგადის ბრიგადირი თამაზ პაპუნაშვილი „თავის ხალხს" გვაცნობს: ლილი მანიჯაშვილი და იზო ნონიაშვილი ტრაქტორის ლაფეტზე აყრიან გვარჯილას, რომელიც ვენახებში კულტივაციის წინ შეაქვთ, ვაზს ფურჩნიან მაყვალა ბერიკაშვილი, ტურფა სარქისაშვილი, ციალა მეფარიძე და ნათელა ელიაშვილი.

„ზღაპარი ხალხი" გვყავს, — ამბობს კოლმეურნეებზე თავმჯდომარე. მართლაც ზღაპარში თუ გაუგონია კაცს ვაზის ისეთი სიყვარული, ენერგიული თავდადება, რაც მათ უკანასკნელი ორი წლის უამინდობის პირობებში გამოავლინეს.

„ცოდნის წყარო"

ამ სათაურით გაზეთ „პრავდის" 1 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულია მოწინავე სტატია, რომელშიც ლაპარაკია წიგნისა და, კერძოდ, ბიბლიოთეკების უდიდეს მნიშვნელობაზე საბჭოთა ხალხის სულიერ ცხოვრებასა თუ საქმიანობაში, იმაზე, რომ ნებისმიერი საბჭოთა ადამიანისათვის ხელმისაწვდომია ცოდნის ეს წყარო, რადგან საბიბლიოთეკო მომსახურება ჩვენში საყოველთაო და უფასოა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე აღინიშნა, თუ რა დიდი მისია აკისრია სოციალისტურ კულტურას პიროვნების ფორმირებაში, მის სულიერ მოთხოვნილებათა გადიდებაში, თუ რა აქტიურ გავლენას ახდენს იგი იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაში, — ვკითხულობთ მოწინავეში. იქვე ნათქვამია, რომ ეს ამოცანა უშუალოდ ეხება ბიბლიოთეკის მუშაკებს, იმათ, ვინც ემსახურება მრავალრიცხოვან მკითხველებს, უკეთ გაერკვნენ ინფორმაციის თუ ახლად გამოცემულ წიგნთა ნაკადში, ვისაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მეცნიერული ცოდნის გაფართოებისათვის მუშაობაში, ტექნიკური პროგრესის განვითარებაში, საბჭოთა ადამიანის აღზრდაში.

„პრავდის" მოწინავეში ნათქვამია, რომ დღეს ბიბლიოთეკები განამტკიცებენ კონტაქტებს შრომით კოლექტივებთან, სადაც წყდება მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების ბედი.

ამ მხრივ ცნობილია, რომ საქართველოში კარგად წარიმართა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებებისა და საბიბლიოთეკო ქსელის მუშაკთა თანამშრომლობა, რაც სპეციალისტებს საშუალებას აძლევს დროულად მიიღონ ესა თუ ის ახალი გამოცემა და ინფორმაცია. ასეთი შემოქმედებითი პრაქტიკის დანერგვისათვის „პრავდის" მოწინავე სტატიაში მოწონებულია რუსეთის სფს რესპუბლიკის მთელი რიგი ოლქების, მოლდავეთისა და საქართველოს გამოცდილება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ე. ა. სეხნიაშვილის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამშენებლო მექანიკის განვითარებაში, სამეცნიერო კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ემილ ალექსის ძე **სეხნიაშვილი** დაჯილდოვდეს **ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ჩერნენკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1984 წლის 2 ივლისი.

ვ. ი. ლენინის წერილები

„ლენინი — ამხანაგი, ადამიანი" — ასე ეწოდება კრებულს, რომელიც ახალ, დამატებით გამოცემად არის გამოშვებული. წიგნი შეიცავს ვ. ი. ლენინის მრავალ წერილსა და ბარათს, მის რეზოლუციებს დეპეშებსა და განცხადებებზე, აგრეთვე იმ ადამიანთა მოგონებებს, რომლებიც ახლოს იცნობდნენ ბელადს, ხვდებოდნენ და მუშაობდნენ მასთან.

განყოფილებებში „უბრალო და გულითადი", „მისი გული ხალხისადმი სიყვარულით ძგერდა" შეკრებილია დოკუმენტები, რომელთაგან თითოეული ავსებს ვ. ი. ლენინის დაუვიწყარ სახეს. (საქინფორმი).

მიფრინავს „კოსმოს-1580"

1984 წლის 29 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1580".

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამომთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საქინფორმი).

ბარაქიანი მკათათვე

შირაქის გზის მარჯვნივ და მარცხნივ სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის 3.000 ჰექტარი პურეულის ყანები, სიმინდისა და მზესუმზირას ნათესებია. სანიმუშოდ მოვლილი ყანები, რომ იტყვიან, ავ თვალს არ ენახვება. ჰექტარზე საშუალოდ 30-35 ცენტნერ მარცვლეულს მოელიან.

რაიონში ჯაფარიძელებმა დაიწყეს ქერის მკა და პირველებმა დაამთავრეს. ათას ტონაზე მეტი ქერის მარცვალი დააბინავეს საკოლმეურნეო ბეღლებში.

გუშინწინ კი მექანიზატორების გიორგი ნასრაშვილის, ალექსანდრე სულაშვილის, ომარ და რობინზონ ყორიაშვილების კომბაინები პურის ყანებში მკას შეუდგნენ. პირველსავე დღეს მათ კალოზე ას ტონამდე მარცვალი გაგზავნეს. პურეულის მოსავლის აღებაზე ყოველდღიურად თორმეტი კომბაინი და ამდენივე სატვირთო ავტომანქანა იმუშავებს. შირაქში, იორზე თუ ტარიბანაში მკათათვეა, ნამდვილი მკათათვე.

— ტრადიციულად ჩვენი მექანიზატორები, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ნ. ყორიაშვილმა, — იპატოვოელთა მეთოდით მუშაობენ, კომბაინებს თან მიჰყვება ნამჯის საწნეხი აგრეგატი. დაწნეხილი ნამჯა იმავე დღეს იგზავნება მეცხოველეობის ფერმებში, განთავისუფლებულ ნაკვეთში შეგვაქვს სასუქები, მერე კი ნაწვერალს ვხნავთ და სასილოსე კულტურებს ვთესავთ. 300 ჰექტარზე უნდა დაითესოს სასილოსე სიმინდი, მაგრამ 500 ჰექტარს გადავაჭარბებთ.

წითელწყაროს რაიონის ვალდებულებაა პირუტყვის საკვების წლინახევრის მარაგის შექმნა. გამონაკლისი არც ჯაფარიძის კოლმეურნეობა იქნება, ამ საქმეში ხომ მას დიდი გამოცდილება აქვს. საკვებმომპოვებელთა რგოლმა, რომელსაც გიორგი შარმაზანაშვილი ხელმძღვანელობს, შარშან რესპუბლიკურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი, 8.000 მანეთი ფულადი პრემია და მსუბუქი ავტომანქანა დაიმსახურა, კოლმეურნეობამ კი როგორც შარშან, ისე წლევანდელ ექვს თვეში მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები ყველა მაჩვენებლის მიხედვით პირნათლად შეასრულა.

წლეულს კი ჯაფარიძელები 6.000 ტონაზე მეტ უხეშ საკვებს დაამზადებენ. სენაჟის ჩადების გეგმა უკვე შეასრულეს — 2.400 ტონა დაამზადეს. დამზადდება 2.800 ტონა ნამჯა, 5.600 ტონა სილოსი, 300 ტონა თივა, ამდენივე ვიტამინური ბალახის ფქვილი და სხვა.

ჯაფარიძელ მექანიზატორებს, მხვნელ-მთესველებს შრომისა და დასვენების ყველა პირობა აქვთ შექმნილი. ცხელ-ცხელ კერძებს არ აკლებს მათ მზარეული ეთერ ლევიაშვილი. მათთვის არის მოწყობილი საველე ბიბლიოთეკა, მედპუნქტი. სახოფლო კლუბი მინდვრად კონცერტებს მართავს.

ვლ. მეღვინეთუხუცესი...



ვლ. მეღლიშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სურათებზე: პურის მკა ჯაფარიძელთა მინდვრებში; კომბაინერი გ. ნასრაშვილი.

ჯ. ლომაძის ფოტო.

თბილისის გაზეთების იუბილე

2 ივლისს თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ დრამის თეატრში გაიმართა საღამო, რომელიც მიეძღვნა გაზეთების „თბილისისა" და „ვეჩერნი ტბილისის" 60 წლისთავს.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. დ. გაბუნია, ბ. გ. გილაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. შ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. შ. ენდელაძე, თბილისის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ვ. სარალიძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ვ. ლაშქარაშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. ლორთქიფანიძე, პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა გ. დ. გაბუნიამ.

სხდომის მონაწილეთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით.

გაზეთების „თბილისის" და „ვეჩერნი ტბილისის" რედაქტორებმა ო. დ. იოსელიანმა და ვ. ვ. ასლანიდიმ ილაპარაკეს იმ საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე, რომელსაც რედაქციების კოლექტივები ეწევიან სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, თქვეს, თუ როგორ გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისისა და მომდევნო პლენუმების მოთხოვნების შესაბამისად.

რედაქციების კოლექტივებს, მათს ავტორთა აქტივს გულთბილად მიულოცეს და მიესალმნენ საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ა. მეტონიძე, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ი. ლ. თევდორაძე, გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას" რედაქტორი ბ. ნ. ტელეგინი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. დ. ზურაბაშვილი, გაზეთ „ვეჩერნი სვერდლოვსკის" რედაქტორი ა. დ. ერმაკოვი, გამომცემლობა „ნაკადულის" დირექტორი პოეტი მ. თ. ფოცხიშვილი.

საზეიმო სხდომის მონაწილეებს კონცერტი გაუმართეს.

(საქინფორმი).

პიროვნების აღზრდა: კომპლექსური მიდგომა წარმატების გარანტიას იძლევა

იდეოლოგიური აქტივის რესპუბლიკური კრება

ყურადღების ცენტრშია ადამიანი

კრებისათვის წარმდგენილ მოხსენებაში, მის პლენარულ სხდომებზე ორატორთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ ერთი წლის წინათ გამართულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა დასახა პარტიის იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური საქმიანობის — კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების ზუსტი და ნათელი ორიენტირები. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ აღნიშნა, ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა აზრი ის არის, რომ აამოქმედოს მთელი შემოქმედებითი ძალები, რომლებსაც შეიცავს მასების შეგნებული მრწამსი.

დიდია ივნისის პლენუმის მნიშვნელობა საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მისმა გადაწყვეტილებებმა თავიანთი შინაარსით და მიმართულობით დაადასტურეს პარტიის XXVI ყრილობის მიერ დასახული იდეოლოგიური ამოცანების, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებათა მოთხოვ- [illegible]

... თვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვით.

ბოლო წლების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა, ითქვა კრებაზე, მაგრამ კომუნისტებს უფლება არა აქვთ თვალი აარიდონ არსებულ სიძნელეებს, დაშვებულ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, გადაუჭრელ პრობლემებს. გააანალიზეს რა მუშაობა ამ მიმართულებით, კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ყველა პარტიული კომიტეტი, პარტიული ორგანიზაცია, იდეოლოგიური დაწესებულება და უწყება როდი ახერხებს ჯერჯერობით განახორციელოს საკმაოდ ეფექტიანი ორგანიზაციულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური ღონისძიებანი, რომლებიც თავიდან აგვაცილებენ არაჯანსაღი გამოვლინებების არასასურველ რეციდივებს.

მუშაობის ეფექტიანი და ქმედითი ორგანიზაციისათვის აქ საჭიროა კონკრეტული მიდგომა, იდეურ-აღმზრდელობითი ზემოქმედების, ინფორმირების მიზანმიმართული, ზუსტი და კომპლექსური პროგრამა, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ უპირველეს ყოვლისა პარტიულ კომიტეტებსა და იდეოლოგიურ მუშაკებს. ამ ეტაპზე ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა მივაღწიოთ იმას, რომ ავამაღლოთ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანოების, პირველადი პარტიული რგოლების, თითოეული კომუნის- [illegible]

... ეულ პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება, მთელი პროპაგანდისტულ-სააგიტაციო პროცესის ქმედითობა.

მეცნიერულობა, უტყუარობა, რეალისტურობა

ისეთ პირობებში, როცა ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის, სამეცნიერო და იდეოლოგიური დაწესებულებების, მეცნიერი საზოგადოებათმცოდნეების იდეურ-თეორიულ საქმიანობას, განვითარებული სოციალიზმის ობიექტური სინამდვილის, კანონზომიერებებისა და ტენდენციების განვითარების კანონების შესწავლას, ყოველივე ეს იძენს პრაქტიკულ ძალას, როცა ეუფლება მასების შეგნებას, ხდება მათი ყოველდღიური ცხოველმოქმედების სახელმძღვანელო. სწორედ ამიტომ კომუნისტური აღზრდის ურყევი საფუძველი და ბირთვია თითოეული საბჭოთა ადამიანის მარქსისტულ-ლენინური მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება.

მხოლოდ ღრმა თეორიული ცოდნა იძლევა საზოგადოებრივი გა- [illegible]

... ნვითარების ურთულესი პრობლემების წვდომისა და მათ გადაჭრაში შეგნებული მონაწილეობის სწორ გასაღებს. აქედან გამომდინარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ლექციური პროპაგანდის ფორმების განვითარებას, ერთი მხრივ, მისი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას, ხოლო მეორე მხრივ, მისი ორგანიზატორული ფუნქციების, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტული პრობლემებისა და ამოცანების გადაწყვეტაზე ჯავლენის გაძლიერებას.

პირველი ამოცანის გადაწყვეტაში უმთავრესი ყურადღება ეთმობა ლექტორთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ორგანიზაციასა და ლექციების ხარისხის გაუმჯობესებას ყველა დონეზე, პირველადით დაწყებული და [illegible]

[illegible]

... რომელს მეუწყნარებლობის გრძნობა ყოველგვარი მოშვებულობის, ხელმძღვანელობის ქაოტური სტილისადმი, ხელი შეუწყონ სამსახურებრივი საქმეების ზუსტ შესრულებას და საბოლოო ანგარიშით საგეგმო, შრომის და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას.

... ხვითარებით. იდეოლოგიურ მუშაობას, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს ხომ შეუძლიათ რეალური ზეგავლენა მოახდინონ სახალხო მეურნეობაში საქმეთა მიმდინარეობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ისინი თვითონ ეყრდნობიან მყარ ეკონომიკურ საძირკველს.

საბჭოური ცხოვრების წესის დამკვიდრებით

სოციალისტური ცხოვრების წესის დამკვიდრება შეუძლებელია, თუ არ გავაძლიერეთ ბრძოლა კერძომესაკუთრული ტენდენციების, დარღვევების წინააღმდეგ, კონტროლი არ გავუწიეთ შრომის ოდენობასა და მოხმარების ოდენობას. ამ მიმართულებით იდეოლოგიური საქმიანობის შესუსტებამ შეიძლება არარაო აქციოს ყოველგვარი პროპაგანდისტულ-სააგიტაციო და აღმზრდ- [illegible]

... მიერ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, რეგულარულად აცნობებდნენ მკითხველებს საქმის ვითარებას. განსაკუთრებით საჭიროა გავაძლიეროთ ამ მიმართულებით ადგილობრივი პრესის მუშაობა. რაიონული გაზეთების რედაქციების მთავარი მეცადინეობა უნდა ხმარდებოდეს ადგილობრივი ცხოვრების გაშუქებას და ეს უნდა ხდებოდეს საფუძვლიანად, კარგ პროფესიულ დონეზე. [illegible]

მსჯელობს [illegible] მთელი იდეოლოგიური აქტივი

როგორც ცნობილია, [illegible] იდეოლოგიური აქტივის რესპუბლიკურ კრებაზე დროულად დაურიგდათ პარტიულ კომიტეტებს, იდეოლოგიურ დაწესებულებებს, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ გამოეთქვათ თავიანთი წინადადებები და შენიშვნები იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალურ საკითხებზე.

„კოლექტიური კამათის" ახალმა ფორმამ მთლიანად გაამართლა იმედი. იგი გახდა ლოგიკური განვითარება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარ პრობლემებზე ფართო პარტიული კონსულტაციების პრაქტიკისა, რომელიც [illegible]

... [illegible] რა სოციალურ სფეროში რელიგიური ცრურწმენების, დრომოჭმული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების, ცალკეული ადამიანების ფსიქოლოგიაში გადმონაშთი სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლას.

კრების მონაწილეთა უმრავლესობა, აღნიშნავს რა ახალი მასობრივი სახალხო დღესასწაულების, ტრადიციების, რიტუალების, კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების ქმედითი როლს ადამიანების ინტერნაციონალურ შეკავშირებაში, სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებს შორის ურთი- [illegible]

[illegible]

... დაინტერესება და აქტიურობა გამოიჩინეს ერთამორისი ურთიერთობისა და ინტერნაციონალისტური აღზრდის შემდგომი სრულყოფის პრობლემების განხილვისას, რაც თავისთავად მოწმობს, რომ მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრები მოხდა ამ მიმართულებით რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში.

მოხსენების განხილვის მრავალმა მონაწილემ ერთამორისი ურ- [illegible] იდეოლოგიური აქტივისათვის გახდა დამაბული მუშაობის, იდეურ-თეორიული და პროფესიული ზრდის პერიოდი, იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გარდაქმნის მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილების შეძენის პერიოდი, ნაკლოვანებების სერიოზული გააზრების, ახალი ადამიანის აღზრდაში გამოუყენებელი რეზერვების ძიების პერიოდი.

კამათის მონაწილეთა გამოსვლები

ბ. ვ. ადლეიბა, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი:

— სალად ვაფასებთ რა მიღწეულ შედეგებს, კარგად ვხედავთ დარღვევებსა და ნაკლოვანებებს, რომლებიც დაკავშირებულია ჩამორჩენილი შეხედულებებისა და განწყობილებების მატარებლებისადმი არასაკმარისად აქტიურ შეტევასთან. ზოგან კომუნისტი ხელმძღვანელები უკან იხევენ დემაგოგების წინაშე, ვერ ბედავენ გადაჭრით გამოააშკარაონ ანონიმისტები და ცილისმწამებლები, რომლებიც ვერ ხედავენ და არ სურთ დაინახონ რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის დიდი მუშაობა, შეიგნონ საბჭოთა საქართველოში მიმდინარე [illegible]

... რესად აქტუალურია იდეოლოგიური მუშაობის დაგეგმვის მეთოდოლოგიური საფუძვლების შემდგომი სრულყოფა და მათი ფართოდ დანერგვა პარტორგანიზაციების პრაქტიკულ საქმიანობაში. ამაში გარკვეული წვლილი უნდა შეიტანონ მეცნიერმა საზოგადოებათმცოდნეებმაც, ჩვენმა ფუნდამენტურმა მეცნიერებამ.

მ. ა. ლორთქიფანიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანი, პროფესორი:

— აღმზრდელთა აღზრდა არის ის ამოცანა, რომელიც უნდა გადავწყვიტოთ. სტუდენტი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა ხომ უმეტესწილად დამოკიდებულია პროფესორებსა და მასწავ- [illegible]

[illegible]

... სოციალური აქტიურობის გაზრდას.

ნ. ვ. ბურჯანაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი:

— იდეოლოგიური მუშაობისადმი კომპლექსური მიდგომა ქალაქის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში გადამწყვეტი ფაქტორი გახდა. ეს მხოლოდ ერთი მაგალითი. ფართოდ გავრცელდა იდეოლოგიური მუშაობის პერსპექტიული დაგეგმვა, რომელიც რესპუბლიკის დედაქალაქის დიდ საწარმოებსა და დაწესებულებებში მჭიდროდ არის დაკავშირებული შრომითი კოლექტივების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვასთან. დღეს უდ- [illegible]

... მამდე. მიღებულია რესპუბლიკის დირექტიული ორგანოების დადგენილება 1984-1985 სასწავლო წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლისა და პირველ კლასებში 6 წლის ბავშვების მიღების შესახებ. ფართოდება აგრეთვე პროფტექნიკური სასწავლებლების ფილიალების ქსელი სოფლის სკოლებში. ამ საქმეში ჩვენი რესპუბლიკის გამოცდილება შეისწავლის სსრ კავშირის განათლების სამინისტრო, რადგან ეს საყოველთაო საშუალო განათლების საყოველთაო პროფესიული განათლებით შევსების ერთ-ერთი მთავარი გზაა.

(დასასრული 18-ე გვ.)

პიროვნების აღზრდა: კომპლექსური მიდგომა წარმატების გარანტიას იძლევა

(დასასრული)

ი. ა. უნგიაძე, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე:

— ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ბოლო ხანს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მთის რაიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. მაგალითად, ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონების სასოფლო მეურნეობაში დირექტიული ორგანოების 1979 წლის მიღებული ცნობილი დადგენილების შემდეგ უკვე ათვისებულია 30 მილიონი მანეთი კაპიტალდაბანდება, აშენებული და რეკონსტრუირებულია 192 ობიექტი და შენდება კიდევ 61. რაიონებში შექმნილია სამრეწველო საწარმოები და მათი ფილიალები. მთიანი აჭარიდან დაახლოებით ხუთასი ოჯახი გადასახლდა ასპინძის, წითელწყაროსა და ადიგენის რაიონებში. ეს პროცესი გრძელდება. რაიონების პარტიული ორგანიზაციები, ყველა მშრომელი ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებენ ახალმოსახლეებს, ყველაფერში ეხმარებიან მათ.

ნ. შ. მახაძე, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი:

— ჩვენი შრომის შეფასების კრიტერიუმი სპეციფიკურია, შედეგები ჩანდება სამუშაო ადგილას, სადაც ირკვევა არა მარტო ის, თუ ვინ არის ჩვენი კურსდამთავრებული, არამედ ისიც, თუ როგორია იგი. ამასთან პრობლემად რჩება — ვინ გახდეს მასწავლებელი? ქალიშვილები, რომლებიც ჯერ კიდევ ბავშვობისას, თუმცა თვითონაც არ იციან, წერა-კითხვას ასწავლიან თოჯინებს, თუ ყმაწვილები, რომელთა ხასიათი, მამაცური ნებისყოფა ახლა ასე სჭირდებათ მოზარდებს. პედაგოგ-

...ჰირო პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, იდეოლოგიური აქტივისტების მუშაობის უფრო ზუსტი კოორდინაცია, ყოველი ღონისძიების იდეური შინაარსის ამაღლება.

ნ. ზ. ჭავჭავაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი:

— ჩვენს ფილოსოფიურ მუშაობაში სქოლასტიკური თეორეტიკოსობის დაძლევის გზებს ზოგჯერ ხედავენ დღევანდელობის საჭირბოროტო საკითხებზე ფილოსოფოსების ყურადღების კონცენტრაციაში. მაგრამ ამ მეცნიერების ორიენტაციის გადატანა კერძო პრობლემებზე ნიშნავს სპეციალური საზოგადოებრივი მეცნიერებებით მის შეცვლას. ამ უკიდურესობის თავიდან აცილება, ფილოსოფიისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნამდვილი კავშირის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფილოსოფიური ანალიზისა და გააზრების საგანი იქნება არა ზედაპირზე მდებარე ამწუთიერი, არამედ საზოგადოებრივი განვითარების, ადამიანთა ყოფიერების სიღრმისეული, სტრატეგიული პრობლემები, მიმდინარე პროცესების ფესვები.

ნ. ვ. კომახიძე, რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის თავმჯდომარე:

— სტატისტიკის თანახმად, ჩვენს რესპუბლიკაში წლის მანძილზე კითხულობენ დაახლოებით 300 ათას ლექციას. საკმარისია თუ არა ეს მონაცემები იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ მათი პოპულარობის შესახებ? რა თქმა უნდა, არა. ჯერ ხომ არასაკმარისად ვისახავთ მიზნად ეკონომიკაში, ადამიანთა აღზრდაში სასურველ შედეგების მიღწევას. ხშირად ჩვენი ღონისძიებანი ნაყოფს არ იძლევა. ახლა...

მეცნიერებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები
საკდესი იუწყება

● ნიკარაგუა

დიდი კმაყოფილება

მანაგუა. ნიკარაგუის ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრმა, ეროვნული აღორძინების მთავრობის ხელმძღვანელი საბჭოს კოორდინატორმა დანიელ ორტეგამ გამოთქვა დიდი კმაყოფილება საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში მისი მეთაურობით წარგზავნილი დელეგაციის მოგზაურობის შედეგების გამო. მოლაპარაკების დროს სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელებმა, თქვა მან დაბრუნებისას მანაგუაში გამართულ პრესკონფერენციაზე, მთლიანად დაუჭირეს მხარი ჩვენს მეცადინეობას სანდინისტური რევოლუციური პროცესის განმტკიცებისათვის.

ნიკარაგუის ხელმძღვანელმა თქვა, რომ რეიგანის ადმინისტრაცია კვლავ ზეგავლენას ახდენს ნიკარაგუაზე, ცდილობს უკარნახოს, თუ ვისთან უნდა ჰქონდეს ურთიერთობა. მაგრამ ნიკარაგუელ ხალხს, ხაზგასმით აღნიშნა დ. ორტეგამ, თავად აქვს უფლება გადაწყვიტოს თავისი საერთაშორისო ურთიერთობის ხასიათის საკითხი. დელეგაციის მოგზაურობის დროს, თქვა მან, დადასტურდა ნიკარაგუის დადებული წინანდელი შეთანხმებანი და დაიდო ახალი.

● ინგლისი

სამართლიანი „გულისწყრომა"

ლონდონი. ბრიტანეთის კუნძულებზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნის გაფართოების წინააღმდეგ მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა ინგლისის ჩიზუელის (ნოტინგემშირის საგრაფო) სამხედრო ბაზასთან. ათასობით მშვიდობის მომხრე ბირთვული განიარაღებისათვის მოძრაობის მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელების მეთაურობით მოვიდა აქ, რათა მტკიცე პროტესტი განეცხადებინა კონსერვატორთა კაბინეტის იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ გადასცეს ბაზის ტერიტორიის ნაწილი ამერიკელთა სარდლობას. დემონსტრაციის გასარეკად გამოიყვანეს პოლიცია. 100-ზე მეტი კაცი დაპატიმრებულია.

დიდი ბრიტანეთის საზოგადოებრიობა დიდ შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ გამუდმებით იზრდება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნა ქვეყნის ტერიტორიაზე. ამჟამად ბრიტანეთის მიწა-წყალზე განლაგებულია ამერიკის 130-ზე მეტი სამხედრო ბაზა, აეროდრომი, საჯაშუშო რადიოელექტრონული ცენტრები, ქვეყნის ტერიტორიულ წყლებს სერავენ ამერიკის ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ბირთვული წყალქვეშა ნავები.

ინგლისელების გულისწყრომას იწვევს აგრეთვე ამერიკის სამხედრო ობიექტების „ექსტერიტორიულობა". ამის შედეგად მოსდევს ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჯარისკაცებს შეუძლიათ დაუსჯელად დაარღვიონ ბრიტანეთის კანონები, ჩაიდინონ სისხლის სამართლის დანაშაული.

ბრიტანეთის საზოგადოებრიობა გადაჭრით მოითხოვს ამერიკის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას, ამერიკის ყველა სამხედრო მოსამსახურის ქვეყნის ტერიტორიიდან გაყვანას.

● გფრ

პრეზიდენტმა ფიცი დადო

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტის ორივე პალატის — ბუნდესრატის და ბუნდესტაგის გაერთიანებულ სხდომაზე გაიმართა ქვეყნის ახალი ფედერალური პრეზიდენტის რიჰარდ ფონ ვაიცზეკერის ფიცის დადების ცერემონია. იგი ამ პოსტზე აირჩიეს ამა წლის მაისში.

● ბოლივია

შეთქმულება ჩაიფუშა

მადრიდი. როგორც უცხოეთის სააგენტოები ლა-პასიდან იუწყებიან, ბოლივიის პრეზიდენტ ერნან სილეს სუასოს, რომელიც შაბათს სამხედროთა ჯგუფმა გაიტაცა, მიაგნეს და გაათავისუფლეს. პრეზიდენტი თავის რეზიდენციაში დაბრუნდა. პრესისათვის გაკეთებულ მოკლე განცხადებაში მან აღნიშნა, რომ მტკიცედ განაგრძობს დემოკრატიულ გარდაქმნებს, იბრძოლებს რეაქციის ყოველგვარი ხრიკების წინააღმდეგ.

ლა-პასში ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ შეთქმულებმა, რომლებმაც პრეზიდენტი გაიტაცეს, თავიანთ გეგმებზე უარი თქვეს იმის შემდეგ, როცა ცხადი გახდა, რომ მათს აქციას მხარი არ დაუჭირა არმიის ხელმძღვანელობამ. ბოლივიის შეიარაღებული ძალების სარდლობამ, რომელიც ქვეყანაში დემოკრატიული პროცესის მომხრეა, პირად შემადგენლობას უბრძანა ყაზარმებში დარჩენილიყვნენ.

შეთქმულთა ერთი ნაწილი დაპატიმრებულია, ნაწილმა კი ლა-პასში უცხოეთის ზოგიერთი საელჩოს შენობას შეაფარა თავი. ბოლივიის შინაგან საქმეთა მინისტრი ფედერიკო ალვარეს პლატა იუწყება, რომ დაპატიმრებანი გრძელდება. შეთქმულების ხელმძღვანელთა შორის მან დაასახელა სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი, ერთ-ერთი სამხედრო ოლქის სარდალი, პოლკოვნიკი როლანდო სარავია, პოლიციის უფროსის მოადგილე ედგარ პუდენსიო.

შრომა და კაპიტალი

მელითონეთა გაფიცვა

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშრომელები მოითხოვენ ეფექტიანი ღონისძიებები განახორციელონ მასობრივი უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელმაც ორი მილიონიან დონეს გადააჭარბა. მსხვილი კაპიტალი სარგებლობს მისთვის მინიჭებული შეღავათებით, ხოლო ეკონომიკური კრიზისის მთელი სიმძიმე მშრომელებს აწვებათ მხრებზე.

სურათზე: გაფიცული მელითონეები რუსელსჰაიმში.
დპა-საკდესის ფოტო.

უხეში პროვოკაცია

„რაბოტნიჩესკო დელო" ამერიკის სენატის დისკრიმინაციული გადაწყვეტილების შესახებ

სოფია. ამერიკის შეერთებული შტატების სენატის მიერ მიღებული დისკრიმინაციული ღონისძიებანი, რომლებიც რომის პაპზე თავდასხმაში ბულგარეთის მოქალაქეთა მონაწილეობის ჭორებით ზღუდავენ ამ ქვეყანასთან ვაჭრობას, ახალი უხეში პროვოკაციაა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ, აღნიშნავს „რაბოტნიჩესკო დელო".

გაზეთი წერს, რომ უკვე დიდი ხანია ამერიკის პრესაში გრძელდება ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ ინსპირირებული ღვარძლიანი პროპაგანდისტული კამპანია, რათა სახელი გაუტეხონ ბულგარეთს, ჩირქი მოსცხონ რეალური სოციალიზმის ქვეყნებს. კვლავ აყენებენ სრულიად დაუსაბუთებელ ცილისმწამებლურ მტკიცებებს, თითქოს ბულგარელი მოქალაქე ს. ანტონოვი მონაწილეობდა პაპ იოანე პავლე მეორეზე თავდასხმაში.

ამერიკის სენატის გადაწყვეტილება — ეს ამერიკის ახლანდელი ადმინისტრაციის აგრესიული პოლიტიკის საერთო კურსის შემადგენელი ნაწილია, რომელმაც „ჯვაროსნული ლაშქრობა" წამოიწყო სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

ბულგარეთი, აღნიშნავს „რაბოტნიჩესკო დელო", კატეგორიულად უარყოფს ყოველგვარ მონაჩმახს რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურის წინააღმდეგ დანაშაულში მონაწილეობის თაობაზე.

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

● **პრაღა.** ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სპეციალისტებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ბრატისლავაში გამართულ საერთაშორისო გამოფენა „ინვებაში", მოაწყვეს აქ სამეცნიერო სიმპოზიუმი „ინტერეკოტექნიკა-84". გაიმართა აზრთა ნაყოფიერი გაზიარება ბიოსფეროსა და წყლის რესურსების სისუფთავის შენარჩუნებისათვის ბრძოლის გამოცდილების შესახებ, განიხილეს წყალთა მეურნეობის საჭიროებებისათვის გამოთვლითი და ლაზერული ტექნიკის გამოყენებით ავტომატიზებული ჰიდრომეტეოროლოგიური და სხვა საინფორმაციო სისტემების შექმნის პროექტები.

● **ჟენევა.** აქ მუშაობა დაამთავრა საერთაშორისო სემინარმა თემაზე „მშვიდობის უფლება", რომელიც მოეწყო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ინიციატივით. სამი დღის მანძილზე მისი მონაწილეები — ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაციის აქტივისტები იხილავდნენ ბირთვული კატასტროფის საფრთხის ზრდასთან დაკავშირებულ პრობლემებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი ორგანოების გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღებისათვის საქმიანობის საკითხებს.

● **ანკარა.** აქ ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-თურქეთის ეკონომიკური თანამშრომლობის შერეული სამთავრობათაშორისო კომისიის მე-7 სხდომის ოქმს. დოკუმენტი ითვალისწინებს ორი მეზობელი ქვეყნის ეკონომიკური და სავაჭრო კავშირურთიერთობის შემდგომ განვითარებას. მასში კერძოდ, ასახულია საკითხები იმის თაობაზე, რომ ქალაქ ისკენდერუნის მეტალურგიული ქარხნის სიმძლავრე გაადიდონ წელიწადში 4 მილიონ ტონამდე, აგრეთვე ითანამშრომლონ სითბური ენერგეტიკის ობიექტების მშენებლობაში, სსრ კავშირიდან თურქეთს მიაწოდონ ბუნებრივი გაზი და დამატებითი რაოდენობის ელექტროენერგია, განავითარონ სასაზღვრო ვაჭრობა.

საკდესის განცხადება

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ არაერთხელ ცხადყო, რომ არ არის დაინტერესებული გამალებული შეიარაღების შეწყვეტით, ამ პრობლემის გადასაჭრელად საქმიანი, კონსტრუქციული მოლაპარაკებით. ამას ერთხელ კიდევ მოწმობს მისი ნეგატიური პასუხი საბჭოთა მთავრობის განცხადებაზე კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის თავიდან აცილების საკითხებთან დაკავშირებით.

ვაშინგტონში სასწრაფოდ გამოქვეყნებულ განცხადებაში ცდილობენ თავი აარიდონ პრობლემის არსებითად განხილვას, ამასთან უხეშად შეცვალონ მოლაპარაკების საგანი სხვა საკითხებით. აყენებენ წინასწარ პირობას კოსმოსურ იარაღთან ერთად განიხილონ საკითხები, რომლებიც ეხება როგორც საშუალო სიშორის ბირთვულ შეიარაღებას ევროპაში, ისე სტრატეგიულ შეიარაღებასაც.

მაგრამ კარგად არის ცნობილი, რომ ბირთვული შეიარაღების შესახებ მოლაპარაკება განზრახ ჩაფუშა ვაშინგტონმა, რომელიც განალაგებს თავის ახალ რაკეტებს ევროპაში. და ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას არ გადაუდგამს და არც აქვს სურვილი გადადგას ნაბიჯი იმისათვის, რომ დასახოს მოლაპარაკების საშუალებით ამ საკითხთა განხილვის გზა. ახლა კი სურთ შეინარჩუნონ ეს ჩიხი და ამასთან ერთად ხელი შეუშალონ მოლაპარაკებასაც კოსმოსის მილიტარიზაციის თავიდან აცილების შესახებ.

რაც შეეხება საკუთრივ კოსმოსურ იარაღს, მისი აკრძალვა, როგორც საბჭოთა კავშირი სთავაზობს, არ სურთ. შესაბამისად, თავს არიდებენ ამის შესახებ სერიოზულ მოლაპარაკებასაც და აყენებენ წინადადებას დასჯერდნენ პრობლემისადმი მხოლოდ ზოგადი ხასიათის რაღაც „მიდგომების" შესწავლას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სურთ შეინარჩუნონ იმის შესაძლებლობა, რომ დაუბრკოლებლად ახორციელებდნენ აგრესიის პლაცდარმად, კაცობრიობისადმი საფრთხის წყაროდ კოსმოსის გადაქცევისათვის გამიზნულ პროგრამებს.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ საბჭოთა მთავრობის განცხადებაზე ამერიკის ადმინისტრაციის პასუხი სრულიად არადამაკმაყოფილებელია და აშკარად ითვალისწინებს გადაქციოს კოსმოსი მასობრივი მოსპობის იარაღის განლაგების ასპარეზად. საბჭოთა კავშირი გადაჭრით უარყოფს ცდას წინასწარი პირობები წამოაყენონ იმ პრობლემის შესახებ მოლაპარაკებისათვის, რომელსაც საარსებოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ქვეყნისა და ხალხისათვის, და ამით შეაფერხონ მისი გადაწყვეტა.

საბჭოთა მთავრობის წინადადება, შეუდგეს კოსმოსის მილიტარიზაციის თავიდან აცილების მიზნით მოლაპარაკებას, ძალაში რჩება. იგი გამოთქვამს იმედს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია უფრო სერიოზულად და მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდება ამ წინადადებას.

იგი კარპატებში იბრძოდა

ამბავი დავით კლდიაშვილის უმცროსი ვაჟისა

კარი ტანმორჩილმა მოხუცმა ქალმა გაგვიღო და პატარა ოთახში შეგვიძღვა, — აქ დაბრძანდით, ახლავე მოგიძებნით გოგის საბუთებსო.

სანამ მასპინძელი თავის არქივში გიორგი კლდიაშვილის მასალებს არჩევდა, ოთახში ჩვენი ყურადღება კედელზე გაკრულმა დავით კლდიაშვილის დიდმა ფოტოსურათმა მიიპყრო. აქვეა სახელოვანი მწერლის სხვადასხვა წლებში გადაღებული ფოტოებიც. აი ნაცნობი სურათიც — დავითი და ვაჟა-ფშაველა. აი კიდევ ახალგაზრდა, ლამაზი ქალი უზნეჯ მამაკაცსა და ბიჭუნასთან ერთად.

ვინ არიან ესენი? ქალბატონი ქეთევანი ღიმილით ხვდება ჩვენს შეკითხვას.

— ჩემი ახალგაზრდობის სურათია, ქმარ-შვილთან ვარ გადაღებული. ჩემი მეუღლე აკაკი ისლამოვი ცნობილი რევოლუციონერი და პარტიული მუშაკი იყო. ეს კიდევ ჩემი ვაჟი თემური გახლავთ, — ეკონომისტია, სპორტის დამსახურებული ოსტატი... გოგი ხშირად იყო ხოლმე ჩვენთან, ტაშკენტში. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი აკაკისა და გოგის. აი ტაშკენტში გადაღებული გოგის ფოტოსურათიც. რამდენი საინტერესო დოკუმენტური მასალა და ფოტოსურათია დავით კლდიაშვილის ქალიშვილის პირად არქივში! თითოეული მათგანი საგანგებო ყურადღების ღირსია, მაგრამ... ჩვენ ამჯერად დიდ სამამულო ომში დაღუპული დავით კლდიაშვილის ვაჟის გიორგის ცხოვრება გვაინტერესებს.

ქალბატონი ქეთევანი ძმის ბიოგრაფიას მიამბობს: 1911 წელს დაბადებულა ქუთაისში. სწავლობდა თბილისის პირველ საშუალო სკოლაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მე-15 საშუალო სკოლაში მასწავლებლობდა.

გოგი უაღრესად გულთბილი კაცი ყოფილა. ქეთის გვერდში ედგა გაჭირვების ჟამს, მას რომ ტაშკენტში შეემთხვა. ამხნევებდა, თანაუგრძნობდა, ეხმარებოდა ბავშვების აღზრდაში.

როგორც გოგის უფროსი ძმა — მწერალი სერგო კლდიაშვილი წერს, იგი გატაცებით მუშაობდა თურმე ქართველი ხუროთმოძღვრების ძეგლებზე. სამეცნიერო შრომასაც ამზადებდა, მაგრამ ომმა შეცვალა მისი ცხოვრების გზა.

1942 წელს გიორგი კლდიაშვილი სამშობლოს დასაცავად გაიწვიეს. იგი ამ დროს უკვე კომუნისტური პარტიის წევრი იყო, ოჯახში დატოვა ახალგაზრდა მეუღლე ევგენია და პატარა გოგონა ნანა.

ფრონტზე იგი ტყვიით გამძღარა ავად და სამკურნალოდ თბილისის ჰოსპიტალში წოლილა გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ დაბრუნებია თავის ნაწილს.

გოგი ფრონტიდან ხშირად გზავნიდა წერილებს, ყოველ ბარათში იგი სიყვარულით იწერებოდა თავის გოგონაზე. სერგოს უბარებდა: თუ ბრძოლაში რაიმე შემემთხვა, ნანას უპატრონეო.

— იმ დღეს, — იგონებს ქალბატონი ქეთევანი, — წერილი მქონდა დაწერილი გოგისთან გასაგზავნად. ხელის მოწერაც კი ვერ მოვასწარი რომ ფოსტალიონმა სამკუთხა ბარათი მოიტანა. გახარებულმა გამოვართვი, მაგრამ სხვისი ხელით ნაწერი ბარათი, — ქალს თვალზე ცრემლი მოადგა, — აი, ბატონო, ეს წერილებიც, — გამომიწოდა მან დრო-ჟამისაგან გაყვითლებული, გაცრეცილი ფურცლები.

ჯერ ვკითხულობ ქეთევანის გაუგზავნელ ბარათს. იგი ძმას ატყობინებს ოჯახის ამბავს. წერს ევგენიას სიყოჩაღეზე, რომელიც ყურადღებას არ აკლებს თავის გოგონას. ნანა სულ უცდის ხოლმე შენს წერილებს, — ვკითხულობთ ქეთევანის ბარათში, — შენ არ იჯავრო, ამათ არაფერი უჭირთ, სოფელში მოწყო დავამუშავეთ. შემოდგომაზე ყველაფერს დავაბევდრებთ, ოღონდ შენ იყავი კარგად, განაცვალე. სერგო მოსკოვში წავიდა დეკადაზე. სოსიკო კარგად არის, მე და ნუცაც კარგად ვართო".

გოგის თანამებრძოლი ვასო ბერიძე კი თავის მეგობრის გმირულად დაღუპვის ამბავს ატყობინებდა კლდიაშვილების ოჯახს.

„1944 წ. 5 მაისი. სალამი ევგენიას! გისურვებ ჯანმრთელობას და პატარა ქალიშვილის კეთილად აღზრდას. თქვენ არ მიცნობთ, მაგრამ თქვენი მეუღლე ჩემი კარგი მეგობარი იყო. ჩვენ ერთად ვიბრძოდით კარპატების მთებში გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ და 1944 წლის 29 აპრილს იგი ჩემ თვალწინ დაიღუპა.

ეს მოხდა დღის 2 საათსა და 30 წუთზე. გაფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ზოლის შესანარჩუნებლად. მტერი რამდენჯერმე გადმოვიდა იერიშზე, ჩვენი მებრძოლები არ თმობდნენ მაღლობს. აი, თანამებრძოლების გასამხნევებლად გოგი წამოიმართა... და იქვე სასიკვდილოდ განგმირული დაეცა.

ეს პირდაპირ ჩემ თვალწინ მოხდა, მაგრამ იმ დროს ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვეძლო. მტრის ჭარბი ძალების შემოტევის გამო დავტოვეთ ზოლი და უკან დავიხიეთ. გოგი იმ მაღლობზე დარჩა.

მეორე დღეს, 30 აპრილს, ისევ განვაახლეთ შეტევა და შევძელით იმ ზოლის უკან დაბრუნება. მოვძებნე ჩემი საყვარელი მეგობრის გოგის ცხედარი და სხვა დაღუპულებთან ერთად საბრძოლო დიდებით დავკრძალეთ.

მე მისი ამხანაგი ვარ, კახელი, წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯიღაურიდან, ვასო სამსონის ძე ბერიძე. ახლა ქართველებიდან ჩვენს ნაწილში მარტო მე დავრჩი. გოგის სისხლი უნდა ავიღო, უნდა სამაგიერო მივუზღო მტერს მისი მოკვლისათვის.

თქვენ იყავით ჯანმრთელად, კარგად მოუარეთ მის ქალიშვილს. უკვდავი იყოს ლეიტენანტ გიორგი დავითის ძე კლდიაშვილის სახელი. იგი მარადის დარჩება ჩვენს ხსოვნაში". ასე ამთავრებს წერილს გოგის ფრონტელი მეგობარი.

სულ მალე ოჯახმა ნაწილიდან მიიღო გ. კლდიაშვილის დაღუპვის ოფიციალური ცნობა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ გიორგი დავითის ძე კლდიაშვილი სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის გმირულად, თავდადებით იბრძოდა და დაიღუპა 1944 წლის 29 აპრილს. დაკრძალულია სტანისლავსკის ოლქის კოლომიისკის რაიონის სოფელ კნიაჟდვურში. მისი ნაწილის საველე ნომერია 68587.

გავიდა ხანი, გამარჯვებით დამთავრდა დიდი სამამულო ომი. კლდიაშვილების ოჯახმა გადაწყვიტა მოეძებნათ გოგის ფრონტელი მეგობარი და წერილი გაუგზავნეს წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯიღაურაში. იქიდან მოიღეს ვასილ ბერიძის ძმის — ლევანის პასუხი, რომელიც 1946 წლის 2 მაისით არის დათარიღებული. იგი იწერებოდა: „1944 წლის 19 სექტემბრის შემდეგ ვასილის წერილები აღარ მიგვიღია და მისი მეტი არაფერი ვიცითო".

თავისი ძმის ხსოვნას მწერალმა სერგო კლდიაშვილმა მიუძღვნა მოთხრობა „დაბრუნება", სადაც წარმოსახულია გოგის ფრონტელ მეგობართან შეხვედრა. მწერალი სიყვარულით აგვიწერს თავისი ძმის თანამებრძოლს, რომელიც იმ საბედისწერო დღეს მორიელ კარპატებში მის გვერდით იდგა, რომლის მეხსიერებაშიც „უკანასკნელ ად აღიბეჭდა გოგის სახე. დაინახა გოგი სხვანაირი, და არა ისეთი, როგორიც შინაურების მეხსიერებაში ცოცხლობდა".

ნაწარმოებში ნაამბობია, თუ როგორ უყვარდა გოგის ნადირობა: „როგორც კი შაბათი საღამო დადგებოდა, შინ ველარაფერი გააჩერებდა, თუნდაც ავდარი და მეორე დილით მოსვლა ყოფილიყო გარეთ, სანადიროდ წავიდოდა".

რაც შეეხება გიორგის მეუღლეს ევგენიას, მან მთელი პატრონობა არ მოაკლო მის ქალიშვილს ნანა კლდიაშვილს, რომელიც ამჟამად დედასთან ერთად მოსკოვში ცხოვრობს; ნანაც და მისი ქალიშვილი ირინე კვირიკაძეც რეჟისორი გახლავთ. ამას წინათ ტელევიზიით ნაჩვენები იყო მისი მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელიც სიმონეთში დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმს ეძღვნება.

გულდასაწყვეტია, რომ ძალიან ცოტა მასალა მოვიძიეთ გიორგი კლდიაშვილზე. კარგი იქნება, გამოგვეხმაურონ მისი ამხანაგები, მეგობრები, თანამებრძოლები, რათა უფრო სრულად წარმოვადგინოთ ჩვენი სახელოვანი მწერლის უმცროსი ვაჟის პიროვნება, რომელმაც სიცოცხლე სამშობლოს განთავისუფლებას შესწირა.

ლ. ხუბულური.

გასტროლები

მდიდარი რეპერტუარით

თელავი. ქალაქში ლამაზად გაფორმებული აფიშები გამოჩნდა, სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაზე კი წარწერაა: „თბილისის დრამატული თეატრის გასტროლები".

ჩვენი რესპუბლიკის ყველაზე ახალგაზრდა შემოქმედებითი კოლექტივის სტუმრობა თელავში პირველია. თელაველი მაყურებელი გულწრფელი სიხარულით მოელოდა კოლექტივს, რომელმაც თავისი შემოქმედებითი ცხოვრება სამი წლის წინათ დაიწყო და მოკლე ხნის განმავლობაში შეძლო თვალსაჩინო ადგილი დაეკავებინა რესპუბლიკის წამყვან თეატრებს შორის.

თელაველთა ინტერესს თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასისადმი ისიც აძლიერებდა, რომ ისინი აქ ეძებდნენ ნაცნობ ხელწერას თეატრის ხელმძღვანელის, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ლერი პაქსაშვილის ნაჭდევი შემოქმედების სახით, რომელიც წლების მანძილზე თელავის თეატრის რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო და რომლის სპექტაკლებიც „ბახტრიონი გოგონა", „ჭინჭრაქა", „ოქროს ბოსები", „ბროწეულის ყვავილი ეკიდება" ღრმად აღიბეჭდა მათს მეხსიერებაში.

თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრი მდიდარი რეპერტუარით ჩამოვიდა. ვ. ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია", ვაჟა-ფშაველას „მთანი მაღალნი", ი. ვაკელის „აპრაკუნე ჭიმჭიმელი", ფ. მარსის „ბიჭუნა", გ. ნახუცრიშვილის „კომბლე", ა. არბუზოვის „ძველმოდური კომედია", ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა", ო. მამფორიას „ივერი გურჯი". — აი, რას ნახავენ თელაველები.

დ. გერგიშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ნორჩ მუსიკოსთა ზეიმი

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ამ ნახევარი საუკუნის წინათ ჩაეყარა საფუძველი ქალაქის № 1 სამუსიკო სასწავლებელს, რომელშიც მხოლოდ ერთი საფორტეპიანო [...] რი პირობები აქვს შექმნილი პატარა მუსიკოსების მომზადებისათვის.

[...] სკოლის დირექტორმა ო. გაბუჩაძემ, — ჩვენთან ფორტეპიანოსთან ერთად მოსწავლეები ეუფლებიან ვიოლინოს, კლარნეტის, ფლეიტის, ბლოკ-ფლეიტის დაკვრის ხელოვნებას, მომავალი სასწავლო წლიდან კი ჩელოს კლასიც გაიხსნება.

საზეიმოდ აღინიშნა სკოლის დაარსების 50 წლისთავი. იუბილეზე მონაწილეობის მისაღებად აქ ჩამოვიდნენ თბილისის, ჭიათურისა და მეზობელი რაიონების სამუსიკო სკოლების, რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, სტუმრები სომხეთის სსრ თუმანიანის რაიონიდან. ნორჩმა მუსიკოსებმა სიხარულით უმასპინძლეს სსრ კავშირის სახალხო არტისტს, კომპოზიტორ ა. მაჭავარიანს და საქართველოს სსრ სახალხო არტისტს, კომპოზიტორ ო. მილორავას.

იუბილეს აღსანიშნავად გაიმართა დიდი კონცერტი.

პიონერული ზაფხული—84

რა კარგია ცხვარი-ჭამიაში დასვენება!

ამ დღეებში გოგო-ბიჭების მხიარულმა ხმებმა აავსო ცხვარიჭამიის შემოგარენი. ხალისიანად უხმობს პიონერული საყვირი.

სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პიონერთა ბანაკის „კოსმოსის" გახსნა, მის მომსახურე პერსონალთან და 820 უმაწვილთან ერთად იზეიმეს მშობლებმა და საპატიო სტუმრებმა.

ბავშვები ორიოდე დღეში გაშინაურდნენ. აქ, ტყის სიმყუდროვეში, მათ არ აკლიათ უფროსების ზრუნვა და ყურადღება. რამდენი საინტერესო რამ ელოდებათ ამ ზაფხულს! — სპორტული შეჯიბრებები, კონკურსები და ვიქტორინები, შეხვედრები რესპუბლიკის გამოჩენილ ადამიანებთან, წარმოებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან, ხელოვნების მოღვაწეებთან, ლაშქრობები და თვითშემოქმედების კონცერტები.

გაკაჟებულნი, დასვენებულნი დაუბრუნდებიან მშობლიურ ქალაქს პატარა თბილისელები, მაგრამ იქამდე ჯერ თითქმის მთელი თვეა — გართობისა და დასვენების მთელი თვე. რომ იცოდეთ, რა კარგია ცხვარიჭამიაში ყოფნა! — ამბობენ კოსმოსელი გოგო-ბიჭები.

სურათებზე: იზრდება ჭადრაკის ოსტატთა ცვლა; უფროსი პიონერხელმძღვანელი ლია კუპატაძე თავის ნორჩ აღსაზრდელებთან.

ი. ულაშოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ყაბახი

ფეხბურთის ამბები

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი თბილისის „დინამომ" კვლავ სტუმრად გამართა: ამჯერად ალმა-ათაში ადგილობრივ „ყაირათთან" და დიდი ანგარიშით დამარცხდა — 0:4.

რაც შეეხება პირველი წრის ბოლო ტურის სხვა შეხვედრებს, ისინი ასე დამთავრდა: „ჟალგირისი"-„სპარტაკი" — 2:1, კიევის „დინამო"-„დნეპრი"—0:0, ცსკა-„ნეფთჩი" — 0:2, მოსკოვის „ტორპედო"-„არარატი" — 1:1, „ზენიტი"-„ფახთაქორი" — 3:0, როსტოვის ასკ-„შახტიორი" — 3:2, „ჩერნომორეცი"-„მეტალისტი" — 2:1, მინსკის „დინამო"-მოსკოვის „დინამო" — 0:0.

ღლეისათვის გათამაშების ცხრილში გუნდები ასე არიან განლაგებული:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი"	17	9	5	3	25-15	23
„დნეპრი"	17	9	5	3	25-16	23
„ტორპ."	17	7	6	4	14-12	20
„დინ." კ.	17	6	8	3	22-13	20
„ზენიტი"	16	7	5	4	25-14	19
ასკ რ.	16	7	5	4	25-16	19
„ჩერნომ."	17	6	6	5	19-19	18
„დინ." მნ.	17	5	8	4	20-19	18
„შახტ."	17	6	5	6	29-25	17
„ყაირათი"	17	6	5	6	24-24	17
„მეტალ."	17	6	4	7	19-22	16
„დინ." თბ.	16	6	4	6	14-17	16
„ჟალგირ."	17	4	8	5	12-22	16
„არარ."	17	5	4	8	20-20	14
ცსკა	17	4	6	7	13-20	14
„ფახთ."	17	4	3	10	15-23	11
„ნეფთჩი"	17	4	3	10	13-29	11
„დინ." მ.	16	2	6	8	12-20	10

პირველი წრის ბოლო ორი კალენდარული მატჩი გაიმართება 5 და 6 ივლისს: შესაბამისად „ზენიტი" მიიღებს თბილისის „დინამოს", ხოლო როსტოვის არმიელთა გუნდი — მოსკოვის „დინამოს".

ბუზში პირველი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩები გაიმართა. ამ შეჯიბრების მონაწილე საქართველოს გუნდებმა შინ ითამაშეს. გთავაზობთ შედეგებს: ქუთაისის „ტორპედო"-კემეროვოს „კუზბასი" — 3:1, ბათუმის „დინამო"-ომსკის „ირტიში" — 0:0, ლანჩხუთის „გურია"-მოსკოვის „ლოკომოტივი" — 0:0.

სატურნირო ორბიტა

სპორტული ტანვარჯიში. მოსკოვში დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებულთა ვინაობას ჩვენი გაზეთის მკითხველები უკვე გაეცნენ. **ამას იმასაც დავუმატებთ, რომ გაგვახარა თბილისელმა ტანმოვარჯიშემ ეკა ზედურიძემ. იგი თავისუფალ ვარჯიშში ვერცხლის მედალს დაეუფლა. ზედურიძემ 19,85 ქულა დააგროვა და მას მხოლოდ 0,05 ქულით გაუსწრო ტაშკენტელმა ი. ბარაქსანოვამ.**

ბალახის ჰოკეი. მოსკოვში გამართული საერთაშორისო შეჯიბრებაზე (ქალთა გუნდები) პირველი ადგილი მოიპოვა სსრ კავშირის ნაკრებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა გდრ-ის გუნდი, მესამეზე — არგენტინისა.

კალათბურთი. ბუდაპეშტში დამთავრებულ ფერენც ჰეპისადმი მიძღვნილ საერთაშორისო შეჯიბრებაზე სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ქალთა ნაკრებმა გუნდებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს. პირველობა მიეკუთვნათ იუგოსლავებს, ვინაიდან მათ შეძლეს საბჭოთა კალათბურთელების დამარცხება.

ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირის მეოთხედფინალისაკენ გზა გაიკვლიეს ფავორიტებმა ჯონ მაკინროიმ, ჯიმი კონორსმა, ჯიმი არიასმა (სამივე — აშშ), ივან ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია), ანდრეს გომესმა (ეკვადორი) და სხვებმა. ქალთა ერთეულების მეოთხედფინალში ითამაშებენ პანა მანდლიკოვა, ჰელენა სუკოვა (ორივე — ჩეხოსლოვაკია), მანუელა მალეევა (ბულგარეთი), ანდრეა ტემეშვარი (უნგრეთი), შტეფი გრაფი (გფრ), კარინა კარლსონი (შვეცია) და სხვები. ქალთა წყვილების მესამე წრეში გავიდნენ ლვოველი ლარისა სავჩენკო და მოსკოველი სვეტლანა ჩერნევა.

ანსამბლი მხრებს შლის

ათი წელია, რაც კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის კულტურის სახლთან არსებობს ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომელშიც გაერთიანდნენ კომბინატის მუშამოსამსახურეთა შვილები. ანსამბლს ხელმძღვანელობს საკავშირო და რესპუბლიკური ოლიმპიადების მრავალგზის ლაურეატი რუსუდან მჭედლიძე.

— ანსამბლი, რომელსაც „საზანდარი" შევარქვით, ძირითადად გოგონებისაგან შედგება, — გვიამბობს რ. მჭედლიძე. — პირველად 3 წლის მეცადინეობის შემდეგ წარდგნენ გოგონები მაყურებელთა წინაშე. მას შემდეგ „საზანდარი" ვაიცნო და შეიყვარა კასპისა და მეზობელი რაიონების მშრომელებმა. ისინი ხშირად მართავენ კონცერტებს მეცხოველეობის ფერმებსა თუ საზაფხულო იალაღებზე.

„საზანდრის" წევრებმა 1982 წელს თბილისში მოსწავლეთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, წარმატება ხვდათ აგრეთვე ქუთაისში გამართულ ქართული ხალხური ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზეც. „საზანდარს" ტაში უკრავდნენ მოსკოვში, ქუთაისში, გურჯაანში, საგარეჯოში. ისინი თბილისობაშიც ხალისით მონაწილეობენ ხოლმე.

მარშან პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტში ქ. ვოლოგდიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა: „საზანდარს" რუსეთში იწვევდნენ მშენებლები საშეფო კონცერტების გასამართავად. და აი, კასპელები ნოემბერში ეწვივნენ ვოლოგდას. კონცერტმა ვოლოგდის ფილარმონიის შენობაში წარმატებით ჩაიარა. მაყურებლები მოწონებით შეხვდნენ ია პავლიაშვილისა და გია ჩოჩელის „ქართულს", ნინო სოფრომაძის „ჯეირანს", რესპუბლიკის ფესტივალის სამგზის ლაურეატების ცისანა ქასოევას, თინა მარიდაშვილისა და ლელა გიგილაშვილის „სამაიას", ქეთინო ჭიაურელაშვილის ოსტატობა, რომელიც ცეკვავს კიდეც და დოლზეც უკრავს.

„საზანდრის" წევრებს განზრახული აქვთ წელულ ზაფხულში ესტუმრონ ბამის მშენებლებს ქართულ დასახლებას. შემდეგ კი თვითშემოქმედების მომავალი ოლიმპიადისათვის მოემზადებიან, რომელიც ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავს მიეძღვნება.

ვ. გეგიძური.

სურათებზე: სცენები „საზანდრის" მოცეკვავეები.
ავტორის ფოტო.

მეცნიერული კონტაქტები

ამ რამდენიმე დღის წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტთან არსებული მუდმივმოქმედი „საენათმეცნიერო საუბრების" საჯარო სხდომა, რომელიც ამ სემინარის დაარსების ათი წლისთავს მიეძღვნა. სხდომაზე მოხსენებებით წარსდგნენ პროფესორმა ბ. ჯორბენაძემ და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა გ. ხუროშვაძემ, დოცენტებმა შ. აფრიდონიძემ, ლ. გაბუნიამ და დ. მელიქიშვილმა, უფროსმა მეცნიერმა თანამშრომლებმა გ. გოგოლაშვილმა, გ. თოფურიამ და ვ. შენგელიამ, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა თ. გვანცელაძემ.

აი, რა უთხრა ჩვენს კორესპონდენტ მ. ქორიძეს „საენათმეცნიერო საუბრების" გამგეობის წევრმა, ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ბენედი ზურმუხაძემ აღნიშნული სემინარის ჩამოყალიბების, მისი მუშაობისა და მომავალი გეგმების თაობაზე:

— ჯერ კიდევ 1974 წელს დაიდო ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის. იგი უპირველესად, აკადემიისა და უნივერსიტეტის სამეცნიერო ინტერესების დაახლოებას, მათი კვლევის შედეგების პრაქტიკული რეალიზაციის დაჩქარებასა და დანერგვას ისახავდა მიზნად. ამასთან გათვალისწინებული იყო კომპლექსური თემების დამუშავება, აკადემიაში სტუდენტთა და ასპირანტთა მოწვევა სამეცნიერო პრაქტიკის მისაღებად და სხვა. სწორედ ამან უკარნახა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ახალგაზრდა ენათმეცნიერთა ერთ ჯგუფს, დაეარსებინათ მუდმივმოქმედი სემინარი „საენათმეცნიერო საუბრების" სახით, რომლის გამღოლაც უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის ახალგაზრდა დოცენტმა (ამჟამად პროფესორმა) ბ. ჯორბენაძემ ითავა, რომელიც „საუბრების" უცვლელი ხელმძღვანელია. სემინარს თავისი გამგეობა ჰყავს და სათანადო წესდებაც აქვს შემუშავებული.

თავდაპირველად „საუბრებში" მხოლოდ ახალგაზრდა ენათმეცნიერები მონაწილეობდნენ, შემდგომ მისი წრე ისე გაფართოვდა, რომ უკვე ახალგაზრდულს ვეღარ უწოდებდით. სხვადასხვა დროს „საუბრების" საჯარო თუ რიგით სხდომებზე ძალზე საგულისხმო მოხსენებებით გამოსულან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ა. შანიძე და არნ. ჩიქობავა, აკადემიის

„საენათმეცნიერო საუბრები" ათი წლისაა

წევრ-კორესპონდენტები ი. გიგინეიშვილი და თ. შარაშენიძე, უცხოელი თუ საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ცენტრებიდან მოწვეული მკვლევარები ი. ბრაუნი, ი. აბდულაევი, ბ. ბერსიროვი, ლ. პალმაიტისი...

უნდა ითქვას, რომ სემინარის მუშაობას არც უნივერსიტეტის რექტორატისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელობის ყურადღება და დახმარება მოჰკლებია.

„საენათმეცნიერო საუბრების" მიზანი იმთავითვე გამოიკვეთა — შექმნილიყო სათანადო პირობები ენათმეცნიერების თანამედროვე პრობლემების კვლევისა და აზრთა შეუზღუდავი გაზიარებისათვის.

აქ შესანიშნავად იგრძნობა თაობათა ურთიერთკავშირი: აღნიშნული სემინარის ერთსა და იმავე სხდომაზე ხშირად მოისმენთ სტუდენტისა და მისი ლექტორის მოხსენებას, ერთსა და იმავე კრებულშიც ასევე ხშირად იხილავთ მოსწავლისა და მისი მასწავლებლის გვერდიგვერდ დასტამბულ ნაშრომებს.

„საუბრების" მონაწილენი წელიწადში დაახლოებით 14-15 რიგითსა და ორ საჯარო სხდომას მართავენ. საჯარო სხდომათაგან ერთი (ყოველი წლის 8 იანვარს) პროფესორ ვარლამ თოფურიას ხსოვნას ეძღვნება. სხდომათა ძირითადი თემატიკა ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხებს ეხება. ათი წლის მანძილზე სულ ორას სამოცზე მეტი მოხსენებაა წაკითხული. შერჩეული საუკეთესო მოხსენებები, რომლებიც სამ კრებულად — „ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები" (1978 წ.), ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან" (1980 წ), „საენათმეცნიერო ძიებანი" (1983 წ.) — გამოიცა. მზადდება მორიგი, მეოთხე კრებულიც.

„საუბრები" ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდის კარგი სკოლაც არის — სემინარის მონაწილეთაგან ორი მეცნიერებათა დოქტორი გახდა, ექვსი კი მეცნიერებათა კანდიდატი.

რამდენიმე წელია, ვაწყობთ გამსვლელ სამეცნიერო სესიებს საქართველოს სსრ უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებთან ერთად. ასეთი სესიები მოეწყო გორში (1979 წ.), ქუთაისსა (1980 წ.) და თელავში (1981 წ.), განზრახულია ანალოგიური სესიების გამართვა ბათუმში, სოხუმსა და ცხინვალში. ამ სესიის დანიშნულებაა როგორც სამეცნიერო მიღწევათა ურთიერთგაზიარება, ისე საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავე ენათმეცნიერთა ურთიერთდაახლოება და მჭიდრო პირადი კონტაქტების დამყარება.

ასე რომ, „საუბრები" კვლავაც ღირსეულად გააგრძელებს და შემოქმედებითად განავრცობს იმ მეცნიერულ ტრადიციებს, წლების განმავლობაში რომ დაუმკვიდრებიათ ქართველ ენათმეცნიერებს.

რიტუალების სახლი

ცაგერი. (საკ. კორ.). ცენტრში გაიხსნა შრომისა და ღვისსაწაულების ორსართულიანი სახლი, რომლის პირველ სართულზე მოთავსებულია ოთხი სარიტუალო დარბაზი — ქორწინების, ბავშვებისათვის სახელის დარქმევის, მუშად კურთხევისა და სხვა საბჭოური რიტუალების ცერემონიალისათვის. მეორე სართული რაიონის მშრომელთა მიღწევების ამსახველი მასალებისა და დოკუმენტების გამოფენას დაეთმობა.

ადამიანი, გზა, ტრანსპორტი

ავტომანქანა დაიკარგა...

რიკოთის უღელტეხილზე გვირაბის გაჭრამ და საავტომობილო გზის გაყვანამ შეამცირა მანძილი ამერიმერს შორის. კვლავ მიმდინარეობს გზის კეთილმოწყობის სამუშაოები, რომლებიც „თბილისგვირაბმშენის" № 9 რაზმის რიკოთის უბანს აქვს დავალებული. უბანი ხაშურის რაიონის სოფელ ჩუმათელეთში მდებარეობს და იქვე მანქანა ემსახურება.

დილით ავტომანქანა გზის ერთ-ერთ მონაკვეთზე უნდა წასულიყო და სამუშაოები შეესრულებინა, მაგრამ მძღოლმა ამირან გოგოლაძემ წასვლაზე უარი თქვა, ავტომანქანის ტექნიკური გაუმართაობა მოიმიზეზა და თვითონ დაიწყო შეკეთება. რამდენიმე საათის შემდეგ ა. გოგოლაძემ როცა დარწმუნდა, რომ უბნის ტერიტორიაზე ხელმძღვანელთაგანი არავინ იყო, მიუჯდა საჭეს, გადავიდა ლიხს გადაღმა და თავი ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ვერტყვიჭალაში ამოყო.

სამი დღე გაქრა გიგანტი ავტომანქანა, მაგრამ არც რიკოთის უბნის უფროსმა დ. მიქაბერიძემ და არც მისმა ხელქვეითებმა აინუნშიაც არ ჩააგდეს ა. გოგოლაძის გაუჩინარება.

ვერტყვიჭალაში მგზავრთა მოსაცდელ ჯიხურში მეექვსეკლასელი მოსწავლე ავტობუსს უცდიდა. გზაზე ა. გოგოლაძემ გამოიარა, აღმართზე უკან დაუგორდა ავტომანქანა, შეჩერება ვერ შეძლო, ჯიხურს დაეჯახა და სახურავი ჩამოანგრია, ბიჭუნა დაიღუპა.

„თბილისგვირაბმშენის" რიკოთის უბანზე ერთობ სუსტი რომ არ იყოს შრომისა და საწარმოო დისციპლინა, ეს ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელმაც ბავშვის სიცოცხლე შეიწირა არ მოხდებოდა.

ბ. ლელაძე.

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

5 ივლისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „დრომა". 9.35 — მულტფილმები. 9.55 — ს. მიხალკოვი — „სილა". ფილმ-სპექტაკლი. 11.45 — ნოვიკოვა შემოქმედება. 12.20 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები. 16.35 — უცნაურ ორიოლის ბავშვების თეატრი. 16.55 — ახალი ამბები. 17.00 — მხატვრული ფილმი „ოთხი ტანკისტი და ძაღლი". II სერია. 17.55 — სტადიონი ყველასათვის. 18.25 — გამოგვეხმაურეთ, მეგობრებო! 18.55 და 22.35 — დოკუმენტური ტელეფილმები. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მულტფილმი. 20.20 — დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის. მხატვრული ფილმი — „საათი გაჩერდა შუაღამისას". 22.00 — „დრომა". 23.10 — კონცერტი. 23.45 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.50 — მხატვრული ფილმი „გრძელი გზა". 11.10 — მულტფილმები. 11.35 — ვ. ა. მოცარტი. ლექსები და ბალადები. 12.25 — ხალხური მელოდიები. 12.40 — ფილმი — ბავშვებს. „ალეინი". II სერია. 13.45 — საბჭოთა სკოლა. 14.15 — ფრანგული ენა. 14.45 — მოსწავლეთა შეხვედრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრთან, მინსკის ტრაქტორის ქარხნის ზეინკალთან ვ. ი. კლიმენკოსთან.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „დრომა". 9.30 — „მოამბე". 10.00 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა"; მხატვრული ფილმი „ვარსკვლავური ზაფხული". 11.10 — „ლიტერატურული თეატრი" — „მე დაბრუნებით ტკივილებს წავშლი" (განმეორებით). 11.55 — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გაუფრთხილდით იმედს". 12.30—სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „საიდუმლოებათა საიდუმლოება". 13.30 — ქართული ენის ტელეკურსი (სტუდიაშია ლ. კვაჭაძე). 14.00 და 16.00 — ახალი ამბები. 16.10 — აბიტურიენტთათვის — ქიმია (სტუდიაშია გ. ჭირაქაძე). 16.40 — ჩვენს დიად სამშობლოში — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სევმა — გუშინ, დღეს, ხვალ". 17.00 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის" — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ოთხი ტანკისტი და ერთი ძაღლი". II სერია (მ.). 17.55 — „მოსურთალესა მოვდიან". 18.25 — „ხალხური შემოქმედება" — „სიყვარულს უმღერიან". 18.45 — „საბჭოური ხასიათი" — „სამი მეგობარი" (განმეორებით). 19.20 — განცხადებები. 19.25 — ახალგაზრდობისათვის — „მისალმება გამოცდების წინ" (სტუდიაშია თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ნ. ვასაძე). 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — „მუსიკოსის გახსენება" — ვახტანგ ფალიაშვილი. 21.45 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი". 21.55 — ხვალ ტელეეკრანზე. 22.00 — „დრომა". 22.35 — ქართული კინოს ისტორიიდან — მხატვრული ფილმი „ის კიდევ დაბრუნდება". 23.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 15.25 — ფილმ-კონცერტი „გამარჯობა, ცირკო!" 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 20.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 21.00 — „მიღი, ნებისა, პატარებო!". 21.15 — საერთაშორისო პანორამა. 22.00 — „დრომა". 22.35 — მხატვრული ფილმი „კარუსელი". 23.45 — სპორტი კვირის მანძილზე. 00,15 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „საქავეარი" და „დილიჟანი". / 17.45 — განცხადებები. 17.50 — მხატვრული ფილმი „ეს გოგონა რომ არა"...

თეატრი

5 ივლისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — კარმენი.

კომუნისტი
ჩვენი მისამართი და ტელეფონებია
380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.
რედაქცია:
რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საორგანიზაციო მისალების — 93-95-24.
საკორესპონდენტო პუნქტები:
მოსკოვი — 290-68-47, სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-38-10; ახალციხე — 2-08-15; ზუგდიდი — 5-58-69; მახარაძე — 3-34-44; ზესტაფონი — 5-56-86; თელავი — 4-12-09; წითელწყარო — 24-66; ბაღდადი — 25-82.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 09849 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, ინჟინერ ოქსაგორის ჩუსით, საბეჭდი ქაღალდი, სტეპანოვის 29.